რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., [illegible] ცერთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 24 აპრილს. ღენ. ტოტლებენი (ოდესსის ღენერალ-ღუბერნატორი) გუშინ სალამოს მივიდა ოდესსაში.

თავადი იმერეთინსკი პეტერბურღის გვარდიის შტაბის უფროსად არის დანიშნული. ღენ. გრაფი ბრევერნ დელაგარდი დაინიშნა მოსკოვის სამხედრო მაზრის ჯარის უფროსად.

სტამბოლი, 24 აპრილს. აქ მოვიდა ღენერალი ობრუჩევი; დღეს იმან ხონთქარს უნდა მიართვას რუსეთის იმპერატორის ბარათი; შემდეგ რუმელიაში წავა.

პეტერბურღი, 25 აპრილს. გაზეთს „ნოვოე ვრემიას“ გაუგონია, რომ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე თ. სვიატოპოლკ-მირსკი სტოვებს თავის თანამდებობასა.

## ხელის-მოწერა

### გაჭირებულ ქობულეთელთათვის

სია მეთერთმეტე

ქ. ნუხში მოგროვილი უფ. ივ. ალექსეევ-მესხიევის საშუალებით:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ნესტორ თავდგირიძემ | 20 | „ |
| დიმიტრი ასანიძემ | 5 | „ |
| ნიკოლოზ ფეოდოროვმა | 5 | „ |
| გიორგი სარაჯოვმა | 5 | „ |
| მღვ. იროდიონ ნანობოვმა | 5 | „ |
| ონისიმე ცერცვაძემ | 3 | „ |
| ივანე მესხიევმა | 10 | „ |

პეტერბურღიდამ მივიღეთ, უფ. ვასილი მაჩაბლის საშუალებით, იქაურ ქართველ მოსწავლე ყმაწვილებში მოგროვილი: | 75 | „

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| იქიდამვე ვ. მაჩაბლის მხრით | 25 | „ |
| კიდევ იქიდამ უცნობისაგან | 3 | „ |

სოფელს ალიბეგლოში მოგროვებული მ. ხუ—შვილის საშუალებით:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სევასტიანე ემრაშვილი | 1 | „ |
| ივანე ჯანოშვილი | „ | 20 |
| კონსტანტინე თოფლიშვილი | „ | 20 |
| გიორგი ანდრიაშვილი | „ | 10 |
| ალექს. (ტაყი) ხუციშვილი | 1 | „ |
| ანდრია (ალტაი) ჭოჭაშვილი | „ | 25 |
| სოლომ. (ჯანვო) ჭოჭაშვილი | „ | 20 |
| კოსტ. (ნავრუზ) მურადაშვილი | „ | 20 |
| მოსე (მუსა) ებრაშვილი | „ | 20 |
| გაბრ. (კუნი) თოფლიშვილი | „ | 16 |
| კოსტ. (ტატი) ასლამაზოვი | „ | 20 |
| დავით (კიტი) უიყიშვილი | „ | 20 |
| ივანე (ბაბა) ასლამაზოვი | „ | 18 |
| ნიკოლოზ (ყარა-მაჰმად) სუყაშვილი | „ | 20 |
| ბულ-მაჰმად შიოშვილი | „ | 20 |
| მღვდ. მ. ხუციშვილი | 1 | „ |

ამ ქვემორე მოხსენებულ პირთ მოიტანეს ხორბალი პური, რომელიც გაიყიდა — — 5 მან. 50 კაპ.

სოლომონ ემრაშვილი, არჩილ ანდრიაშვილი, ნიკოლოზ ჰაჯიშვილი, ისმეილ (ისაკ) ჭოჭაშვილი, დავით (დურსუნ) ასლამაზოვი, პეტრე (ჰაჯი) ჭოჭაშვილი, ხარიტონ (ხამბაბა) ებრაშვილი, ალექსანდრე იბიშვილი, სოლომონ (აბდულა) ხინაშვილი, ჰატა სუყაშვილი, ტლანყი ყარახანაშვილი.

ქ. დუშეთში მოგროვილი კნეინა თამარა ქვალიევის საშუალობით:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარ ქვალიევისა | 3 | „ |
| დიმიტრი ქვალიევი | 3 | „ |
| ნინო ყარანგოზოვისა | 3 | „ |
| ნიკოლოზ ჩიგიანმა | 2 | „ |
| ივანე ზუბალოვმა | 3 | „ |
| მიხეილ კობიევი | 3 | „ |
| ანანიო | 1 | „ |
| ზურაბ მორთულაძე | 1 | „ |
| ვლადიმირ ორიტოვმა | 1 | „ |
| ვასილ დოდაევი | 1 | „ |
| ზაქარია ლოლაძე | 1 | „ |
| სოლომან ზანდუკელი | 1 | „ |
| ნინო ბერძენოვისამ | 1 | „ |
| იოსებ ალავერდოვმა | 2 | „ |
| ჯიმშერ ბოგიევმა | 3 | „ |
| მიხეილ ტერტეროვმა | 4 | „ |
| არტემ მამულოვი (მცხეთელი) | 2 | „ |
| იაგორ ჭიაბრიშვილი | 1 | „ |
| სალომე მოზდოკელოვისამ | 1 | „ |
| გიორგი მღვდ. დაფქვიევმა | 1 | „ |
| ზაქარა თაბორიძე | 1 | „ |
| თადეოზ დეკანოზოვმა | 1 | „ |
| ილია აბაშიძემ | 2 | „ |
| მღ. მიხეილ ბერძენოვმა | 1 | „ |
| მიხეილ ლოლაძე | „ | 40 |
| მიხეილ აფციაურმა | „ | 40 |
| გიორგი გურდული | „ | 20 |
| პავლე ობოლენსკი | 1 | „ |
| რეიმერს | 1 | „ |
| არტემ მარტიროზოვი | 1 | „ |
| ალექსანდრე ავალოვმა | „ | 10 |
| არტემ ტერტეროვმა | 2 | „ |
| ვანკა გულბათოვმა | 1 | „ |
| ნიკოლოზ ყაზაროვმა | 2 | „ |
| სანდრო გულიევმა | 1 | „ |
| არტემ ქავთაროვმა | 1 | „ |
| სვიმონ ბელიაძე | 1 | „ |
| სოსია გულიევი | „ | 40 |
| სერგეი ალიხანოვი | „ | 10 |
| ზაქარ ამირალოვი | „ | 10 |
| ალა შადინოვი | „ | 50 |
| ბაბო ბაშაროვი | 1 | „ |
| ბიგოლა ამირურაშვილი | „ | 20 |
| იგნატი პროშკინი | „ | 10 |
| ივანე აბაზოვი | „ | 10 |
| ბაგრატ მარტიროზოვი | „ | 50 |
| სიმონ ალიხანოვი | 1 | „ |
| გრიგორ ბარათოვი | „ | 50 |
| არტემ გულიევი | „ | 50 |
| შაქარ პეტროზოვი | „ | 20 |
| გეუა არაქელოვი | „ | 20 |
| სვიმონ მირაქოვი | 1 | „ |
| არონა-ყობა ივანაშვილი | 1 | „ |
| ნატალია ტერ-აზარიევისა | 1 | „ |
| ვასილ აბაშიძე | 1 | „ |
| ეროთე ყარანგოზოვი | 1 | „ |
| გიორგი რატიევი | 1 | „ |
| ალექსანდრე სავანელი | 3 | „ |
| მიხეილ ალექსეევი | 1 | „ |
| თ. მიხეილ რატიევი | 1 | „ |
| ნატალია თათულოვმა | „ | 40 |
| ეკატერინე ბოგიევისამ | 1 | „ |
| ლოტოში მოგროვილი | 4 | „ |
| წითლიევი | 1 | „ |
| გარბაკონი | 1 | „ |
| ბესარიონ კოპიევი | 1 | „ |
| სვიმონ კობიევი | 1 | „ |
| ოლგა დაფქვიევისა | 1 | „ |
| დიმიტრი დაფქვიევი | 1 | „ |
| ივანე ალავერდოვი | 1 | „ |
| ეკატირინე ალავერდოვისა | 1 | „ |
| ლოტოში მოგროვილი | 4 | „ |
| არჩილ ლოლაძე | 1 | „ |
| ნიკ. პატანიევი | 1 | „ |
| ლოტოში მოგროვილი | 6 | 10 |
| ელისაბედ ქავთაროვისა | „ | 40 |
| გრიგოლ ყარანგოზოვი | 5 | „ |
| ვანო მარტიროზოვი | 1 | „ |
| სულ | 270 | 40 |
| ადრინდელი | 29 | „ |
| ახლად მოგროვილი სულ | 299 | 40 |

ამას გარდა 2 აპრილამდინ მოგროვილი ფული—1,538 მანეთი, როგორც ქვემო-მოყვანილის შენიშნვიდამ შეიტყობს მკითხველი, უკვე დაურიგდა გაჭირებულ ქობულეთლებს.

## შემწეობის დარიგება

ამ თვის დადგომამდე გაჭირვებულ ქობულეთლებისათვის ჩვენს რედაქციაში სხვა-და-სხვა პირთა შემოიტანეს ათას-ხუთას-ოც-და-თვრამეტი მანეთი. ბევრმა შემწირველმა გამოგვიცხადა ჩვენ ნატვრა, რომ ეს ფული მიაღწევდეს იმათ ვინც, მართლა ღარიბნი და გაჭივრებულნი არიან და სამართლიანათ გაიყოფოდეს მათ შორის. რაღა თქმა უნდა რომ ჩვენი სურვილიც ეგ იყო და ამან გვაიძულა ჩვენ წავსულიყავით ქობულეთს და ჩვენის ხელით დაგვერიგებინა საზოგადოებისაგან მონდობილი ფული.

რადგანაც ვიცოდით, რომ გაჭირვებულ ქობულეთელთა რიცხვი ოთხი ათასს სულს გადააჭარბებს, ცხადი იყო რომ იმ ფულით, რომელიც ჩვენს ხელში იყო, არ შეიძლებოდა ყველა ღარიბის შეწევნა. ჩვენ ვირჩიეთ ისევ რამდენიმე უარეს გაჭირვებულთათვის მიგვეცა ნამდვილი და საკმაო შეწევნა, ვინემც ყველასთვის ცოტ-ცოტათ დაგვერიგებინა. ამავე აზრისა იყვნენ ბათუმის ღუბერნატორი ღენ. კომაროვი, თავ. ნ. ერისთავი, თავ. გრ. გურიელი და მრავალნი საპატიო პირნი რომელთაც ჩვენ დავეკითხეთ ამ საგანზე.

ქობულეთის უჩასტკის უფროსის ბრძანებით რვა სოფლის მამასახლისმა: აჭყვისთავისამ, ალამბარისა, ლეღვისა, ხუცუბანისა, კვირიკისა, ქობულეთისა, სამებისა და ჩაქუთისამ წარმოგვიდგინეს ჩვენ თავიანთ სოფლის გაჭირვებულების (უფრო ობლებისა) სია. და რადგანაც ეს სია კიდევაც დიდი იყო, ჩვენ მოვიწვიეთ კინტრიშის უჩასტკის მეჯლისი და მის დახმარებით და ჩვენებით სიიდამ ამოვრიცხეთ ზოგიერთი სახლობა. ამის შემდეგ ჩვენ მოვიხმეთ სოფლებიდამ მამასახლისნი და თვით გაჭირვებულნიცა და მეჯლისის დასწრობით დაურიგეთ ყველას ხვედრი ფული.

ყველა გაჭირვებული არ მოვიდა ფულის მისაღებლათ: ზოგი შინ არ იყო და მამასახლისმა ვერ შეატყობინა, ზოგი ობოლი ისე პატარა იყო, რომ ვერ წამოვიდოდა და დედა-კაცები ჩვეულებისამებრ ვერ გვეჩვენებოდნენ; ამათი ხვედრი ფული ჩვენ ჩავაბარეთ მამასახლისებს თავიანთ სოფლის კაცის დასწრებით, მივეცით სია იმ ობლებისა რომელთაც ეს ფული ერგებოდა და ჩამოვართვით ხელ-წერილი ფულის მიღებისა. ხელ-წერილები გადავეცით მეჯლისს და მივანდეთ მას თვალ-ყური ეჭიროს რომ ფული დანიშნულებისამებრ გაწილადებულ იყოს ობლებსა შორის.

ამგვარათ ჩვენ დაურიგეთ ათას-ხუთას-ოც-და-თვრამეტი მანეთი ას-ოთხმოც-და-თერთმეტს სახლობას,—სულ ექვს-ას-სამოც-და-ხუთი სული—თითქმის ყველა ობოლნი და ქვრივნი. თითო სულს ერგო ორ-ორი მანეთი და უფრო ღარიბსა სამ-სამი, ასე რომ ბევრს სახლობას ერგო თორმეტი, თხუთმეტი, თვრამეტი და ოცი მანეთი.

ვერ დავიკვეხებთ, რომ ჩვენ სრულიად სამართლიანათ დავარიგეთ ფული; საუბედუროთ, ამ შემთხვევაშიაც პირ-მათნეობას და ნათესაობას ჰქონდა თავისი ადგილი და შეგვაცდინა, თუმცა ყოველი ღონის-ძიება ვიხმარეთ თავიდამ აგვეცილებინა ეს სამართლის დამრღვევი მოვლენანი. ყოველს შემთხვევაში თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამაზედ უკეთესად, ამაზედ უფრო სამართლიანად შეწირული ფულის დარიგება ძნელად მოხერხდებოდა.

სერგეი მესხი

ალექსანდრე სარაჯიშვილი

---

# საქართველო

## თ. დ. ერისთვისთვის

როგორც გუშინდელს „დროებაში“ დაბეჭდილის წერილიდგან დაინახეთ, თ. დავით ერისთავი აცხადებს, რომ სულ ტყუილია, სულ ჭორიაო, რაც თქვენს გაზეთში ეწერა ჩვენზედაო, ვითომც ბესარიონ ლოლაბერიძის მიცვალების შემდეგ ჩვენ გზა და კვალი დაგვბნეოდეს, არ გვცოდნოდეს რა გვექნა, ლიკვიდაციის მნიშვნელობა არ ვიცოდეთო და სხვ.

თ. დ. ერისთავი ამას აცხადებს და ჩვენ კი იმას ვამტკიცებთ, რომ ყველა ეს ნამდვილად მოხდა, ყველა ეს ჭეშმარიტია, რომ ყველაფერის, რაც „დროებაში“ დაწერილი იყო, თუ საჭირო იქნა, მოწმეებით შეიძლება დამტკიცება.

მკითხველს სრული უფლება აქვს იმას დაუჯეროს, ვისკენაც უფრო მომეტებულს სიმართლესა და ჭეშმარიტებას ჰხედავს.

მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ფაქტი ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო, ჩვენ მოვიყვანთ შემდეგ უბრალო მოსაზრებას:

იმერეთში ყველამ კარგათ იცის, რომ თითქმის ყველაფერ საქმეს ქუთაისის ბანკში მხოლოთ მიცვალებული ბეს. ლოლაბერიძე აკეთებდა; ყველამ იცის, რომ იმას ეშინოდა, ვაი თუ დირექტორებმა რამე გააფუჭონო, თავის უცოდინარობით ზარალი მისცენ ბანკსაო და ამის გამო იმათ არაფერს არ მიანდობდა. დირექტორების ერთი მოვალეობა თითქმის ის იყო, რომ დამზადებულს ქაღალდზე ხელს მოაწერდნენ და ათასში ერთხელ დასაგირავებელ ადგილის დაფასებაზე დაესწრებოდნენ.

ამნაირად, ამ დირექტორებს ბანკის საქმეების წარმოებაში, ამ სამი წლის განმავალობაში, არავითარი გამოცდილება და ცოდნა არ შეუძენიათ, ისეთივე უცოდინარნი დარჩნენ, როგორც იმ დღეს იყვნენ, როდესაც დირექტორობა დაიწყეს.

თუ ეს ასეა, მაშ ვის უნდა გაუკვირდეს, რატომ ადვილად დასაჯერებელი და წარმოსადგენი არ არის, რომ ამ დირექტორებს მართლა დაებნათ გზა და კვალი, რომ ესენი მართლა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ, როდესაც ბეს. ლოლაბერიძე მოკვდა?! ამათ მოაკლდათ თავი, მოესპოთ იმათ მაგიერ საქმის მკეთებელი, ბანკის ერთად-ერთი მზრუნველი, ერთად-ერთი თავიანი კაცი და დარჩნენ უპატრონოთ, უნუგეშოთ, უცოდინარნი, გამოუცდელნი.

ბანკში მოსამსახურე პირნი მოწმედ მოჰყავს თ. დ. ერისთავს. ეს მოგვაგონებს ანდაზას, მელამ რომ თავის კუდი მოწმად მოიყვანა.

რაიცა შეეხება თ. დ. ერისთვის გაცხარებასა და უკადრისი სიტყვების ხმარებას, ჭორიაო, სიცრუეაო, მოგონებააო და სხვ. და სხვ. ამგვარები, ამაზე' რასაკვირველია, ჩვენს თავს ნებას არ ვაძლევთ, რომ სამაგიერო სიტყვები და პასუხი უძღვნათ უფ. ერისთავს; ვიტყვით მხოლოთ, რომ პატივცემულ მოხუცებულს ამგვარი გაცხარება და განსაკუთრებით ამისთანა სიტყვების ხმარება არ უნდა ეკადრებინა და თუ იკადრა, ეს იმას ნიშნავს, რომ რაც იმაზე დაწერილია, მართალი ყოფილა. ნაპოლეონმა სთქვა:

„— შენ ცხარობ, მაშ შენ მტყუანი ხარ!“

---

## დღიური

*** იმ 103 მანეთთან, ერთად რომელიც პეტერბურღში მოსწავლე ქართველ ახალგაზდებისაგან მოგვივიდა და რომელიც დღევანდელს ქობულეთლების სიაში არის მოხსენებული, ჩვენ მივიღეთ უფ. ვას. მაჩაბლისგან შემდეგი წერილი:

„უფალო რედაქტორო! „ივერიის“ მეორე ნომერმა გვაცნობა იმ გაჭირვებულ მდგომარეობაზედ, რომელშიაც თურმე იმყოფებიან ჩვენი მოძმენი აჭარლები და ქობულეთლები. ვისაც კი ცოტაოდენი თავის მოძმის სიყვარული უღვივის გულში, არა მგონია, რაც უნდა ღარიბი იყვეს, ამ გვარათ შეწუხებულ და გაჭირვებულ მოძმეთ შეძლებისა მებრ ხელი არ გაუმართოს.

„ამ აზრით აქაურ მოსწავლე ქართველ ყმაწვილ-კაცობამაც შეაგროვა თავის ჭლექ ქისებიდგან სამოც-და-თუთხმეტი მანათი და მომანდო გამომეგზავნა თქვენთვის, რომ მიღების უმალვე გარდაგეცათ კუთვნილებისამებრ. გარდა ამისა ამ ფულთანვე გიგზავნით ჩემის მხრითაც ოც-და-ხუთ მანათს იმავე დანიშნულებისათვის“.

ვ. მაჩაბელი

პეტერბურღი, 15 აპრილს.

„P. S. ეს წერილი გათავებული მქონდა, რომ ერთი ჩემი ნაცნობთაგანი შემოვიდა ჩემთან და თავის მხრით დაუმატა ამ ფულს სამი მანეთი“.

*** წელს ზაფხულს კავკასიის მხრის შემდეგ ადგილებში იქნება გამიჯვნა:

**თ ფ ი ლ ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი.**

**თ ფ ი ლ ი ს ი ს უ ე ზ დ შ ი** გაიმიჯნება სოფ. ყოზლუხი, ლამბალო, ჩაილური და ორბელიანთ მამული ლო-

რიაში; ამას გარდა ველაბარი, ახტალა, დიდი შულავერი, არუხლუ, საცხენისი, ჯაფარლო და სარჩაფეტი.

გ ო რ ი ს უეზდში: მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე—ბაგება, დიდი მეჯვრის-ხევი, საკორინთლო, აბრევი და შემდეგ დუშეთის უეზდის სამზღვრამდინ, და საამილახვროს მამულის გაყოფა; მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ზემო და ქვემო ქვედურეთი, ატენისი, ქარელი და საციციანო მამულები.

თ ე ლ ა ვ ი ს უეზდში გაიმიჯნება: ვაჩნაძიანი, კონდოლი, ბულგულა, რუის-პირი, იყალთო და ბოდლისი-არაშენდა; გაიყოფება: ბაიხო, ზემო-ხოდაშენი, ვარდის-უბანი და კურდღელაური.

დ უ შ ე თ ი ს უეზდში—გაიყოფება: ახათანი, კობიანთ-კარი, ბრიგოლანთ-კარი, საანანიო, სულიკაანთ-კარი, ქსოვრისი, დამპალო და მცხეთა.

თ ი ა ნ ე თ ი ს უეზდში — გამიჯვნა: ახმეტა, ბოკონი; გაყოფა: ბოჩორმა და სიმონიანთ-კარი.

ს ი ღ ნ ა ღ ი ს უეზდში გამიჯვნა იქნება: ზიარის, ვეჯინის და ახაშენის. გაიყოფება: ქვარელის მამულები, ბურჯაანის, შიბლიანის და კაშკის და აგრეთვე თ. ჯორჯაძეთ პაიძანის მამულები.

ქ უ თ ა ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი.

ქ უ თ ა ი ს ი ს უეზდში გამიჯვნა ოკრიბისა: დაბახველა, ოცხვათი, ჩხეფი, ნაბოსთლევი, კურსები, გელათი, ბოდოგანი, ძიროვანი, საწირე, ახალ-სოფელი და ქონეთი.

ო ზ უ რ გ ე თ ი ს უეზდში: გურიანთის გამიჯვნა.

ზ უ გ დ ი დ ი ს უეზდში — გამიჯვნა: აბასთუმნისა, ქულის-კარის, აბუჯა, ხიბულა, ზენი, ზანა, ხორში, ბია, ცაიში, დარჩენი, ახუთი, ნაჯიხევი, ხორგა და ხეთა.

ს ე ნ ა კ ი ს უეზდში ჭალადიდი გაიმიჯნება.

შ ო რ ა პ ა ნ ი ს უეზდში უნდა გაიმიჯნოს საბაშიო და საჩხეიძო მამულები.

გასამიჯნავი მუშაობა ამ მაისიდამ დაიწყება. ქოველი მემამულე ვალდებულია თვითონვე დაესწროს ზემლემერებისაგან იმის მამულის გამიჯვნას და აგრეთვე თვალ-ყური ადევნოს სამზღვრების გაყვანის დროს.

** გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია ქალაქის ახალციხის 1879 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ ქალაქს წელს ჰქონია შემოსავალი სულ—70,472 მან. და 52 კაპ.; გასავალი—67,037 მან. და 82 კაპ. ამას გარდა ქალაქს აქვს კიდევ ასალები—25,607 მან. და 86 კაპ., გადასახადი (ვალი და სხვ.) აქვს—15,855 მან. და 64 კაპ.

** სოფ. კასპიდამ გვწერენ, რომ იქაურ სომხის მღვდლის შვილს მიჰქონდა თურმე თფილისიდამ სხვა-და-სხვა საწვრიმალო დამპალი და გაფუჭებული საქონელი და ხალხზე ჰყიდდა ან ფულად, ან ხორბალზე უცვლიდაო. უფრო დედა-კაცებს ატყუილებდა თურმე ფერუმარილითა და ამისთანაებით. ბოლოს სოფელი ისეთნაირად მობეზრებულა ამ კაცის ამისთანა მოქმედებით, რომ მამასახლისთან მისულან, უჩივლიათ და ეს ცუღლუტური ვაჭრობა მოუსპობინებიათ.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

კახეთიდამ, 15 აპრილს. რამოდენიმე წელიწადია, რაც საზოგადოთ თელავის უეზდში და მომეტებულად ამ მაზრის სოფელს კონდოლში გავრცელებულია ქურდობა; ძნელად გათენდება დღე, რომ არ შევხვდეთ ქვრივ-ოხერი და აგრეთვე სხვა პირნი, ზოგნი წუწუნებენ—წუხელ მოგვპარესო ინდოურები, ზოგნი ჩივიან ქათმებს, ბატებს, კრუხებს, მცხვრებს, ღვინოს და სხ. და სხ.

ეს კიდევ არაფერი! საქმე იმაშია, რომ სხვილ-სხვილებსაც მიჰყვეს ხელი. ეს ორი წელიწადია, რაც სოფელს კონდოლში შემოეჩვივნენ ქიზიყლები; ზოგნი დგანან მეზვრეთ და ზოგნიც მოჯამაგირეთ.

წარსულ მარტის თვეში, სოფელს ტოლენიანში მოასწრეს ქურდობაზედ ერთს კონდოლელ გლეხს მეზვრეს კონდოლშივე მცხოვრების აზნაურის ა. რჩეულოვისას თედო ჩარბაძეს და ნამოჯამაგირალს ამავე რჩეულოვისას სიღნაღის უეზდის სოფ. ზემო მაჩხაანში მცხოვრებს სულხან ნატროშვილს. ამაენი როდესაც მიდენილან საქურდლათ ვახშმობის დროს შეუმცნევია ტოლენიანში მცხოვრებს ივ. საკაშვილს, რომელსაც დაულევიძებია მეზობლები და ამათის შემწეობით თედო ჩარბაძე დაუჭერიათ ტოლენიანში ზაქარა მაზანაშვილის ეზოში; ხოლო ნატროშვილი გაჰქცევიათ, მეორეს დღეს კონდოლის და ტოლენიანის მამასახლისმა მოიყვანა ჩარბაძე და ნატროშვილი კონდოლის სასამართლოსთან; შემდეგ რამოდენიმე გამოკითხვისა ისინი გატყდნენ, აღვიარეს, რომ მირთალია ჩვენ უნდა გაგვეტეხა სახლი ზაქ. მაზანაშვილისა და წაგვეყვანა იმისი ცხენიცაო, ჩვენი ამხანაგი ამაში არის ჩვენი დამჭერი ვანო საკაშვილიო. ამ საგანზედ მამასახლისმა მაშინვე შეადგინა პროტოკოლი, მაშინვე ესენი დატუსაღებულნი მიიყვანეს დისტანციის ნაჩალნიკთან თ. მ. ლიონიძესთან ისევ სოფელს კონდოლში. აქ დახვდა აზნაური მ. რჩეულოვი, რომელსაც მოჰპარეს ერთი ფაშატი ცხენი ამავე ქურდებმა; ეს ქურდები ამ საგანზედაც გატეხეს და პირობა მისცეს რჩეულოვს, თუ ხსენებული ცხენი არ ჩაებარებინათ მისთვის, გადეხადნათ თორთმეტი თუმანი ფული. ეს პირობის წერილი რჩეულოვმა ქურდებს ჩამოართვა თვით თელავის უეზდის უპრავლენიაში.

ეს ქურდები იმავე დღესვე მამასახლისმა წარადგინა უეზდის მმართველთან რაპორტით; იმ ღამეს გაეგზანათ ისინი ციხეში, ხოლო მეორეს დღესვე, ვერ შევიტყეთ რომლის მიზეზით, ეს პატიოსანი ქურდები გაჩნდნენ ისევ სოფელს კონდოლში.

თელავის პოლიციის პრისტავმა კონდოლში გამოგვიცხადა, რომ ზემოხსენებული ქურდები გამოვიდნენ ციხიდან უეზდის მმართველის განკარგულებითაო, რადგანაც იმათთვის ხელიდან ნაქურდალი არ წაურთმევიათო, მხოლოდ ქურდობას აპირობდნენ და მაშინ დაუჭერიათო. თუ ეს მართლა ასეა და არ არიან თავდებობით გამოშვებულნი, უეჭველია, რომ ამ გვარი მთავრობის ქცევა ქურდებზედ უფრო გაავრცელებს მათ ხელოვნობას. ქურდი რაკი ცხენზედ შეჯდება, არამც თუ ბნელს ღამეში, დღეც რომ იყოს მას ვერ მიუყენებს თოფსაც კარგი თოფის მსროლელი, არამც თუ იგი იმ მდგომარეობაში დაიჭიროს ვინმე; ამასთან ქურდი დამჭერს არ დაზოგავს არც ერთის იარაღით, და უკანასკნელ მგონი იმ ქურდების სხვა ქურდობაც იყო დამტკიცებული როგორც ზევითა ვსთქვით თელავის უეზდის უპრავლენიაში.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქურდების განთავისუფლებისა მეც მომპარეს ჩემი ორი ცხენი და ამავე დროს ორი სხვა ცხენიც დაიკარგა კოვდოლში.

აუცილებლად საჭიროა, რომ ამ გახშირებულ ქურდობას ჩვენმა უმაღლოვნელეს მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, თორემ ღარიბი ხალხიც კი დიდს ზარალშია ამათგან ჩავარდნილი.

გ. ბაჩეჩილაძე

სოფ. კონდოლი

---

# უცხო ქვეყნები

---

### ინგლისი და ავღანი

ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 12 აპრილს მიღებული ინდოეთიდამ:

„ამ დღეებში მოვიდა აქ ავღანის სატახტო ქალაქიდამ კაბულიდამ გამოგზავნილი კაცი, რომელმანც მოიტანა ამბავი, რომ იაკუბ-ხანი თანახმა არისო ინგლისის მთავრობასთან დაიწყოს მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ. ამ განზრახვით მაიორი კავანიარი, დიდის ამალით და ჯარით, აპირებს წასვლას კაბულში.“

სის მაიორის კავანიარისაგან

„ამნაირად იმედია, რომ ამ მოკლე ხანში ინგლისსა და ავღანს შუა კეთილი განწყობილება დამყარდება.“

### ბულგარია

ტელეგრამმამ გვაცნობა, რომ ბოლგარიის მთავრად ამორჩეულ იქმნა თ. ალექსანდრე ბატენბერგი და ყველა სახელმწიფოებმა, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე აქვთ ხელი მოწერილი, ამ ამორჩევაზე თანხმობა განაცხადეს.

თ. ბატენბერგი ნათესავია რუსეთისა და ინგლისის საიმპერატორო ოჯახისა; ის არის შვილი ჰესსენის გერცოგისა, რომელიც ავსტრიის არმიაში მსახურებს

ღენერლად. ახლად ამორჩეული მთავარი ამჟამად პარიჟში წავიდა თავის მშობლების სანახავად; იქიდამ ის დაბრუნდება ბერლინში, სადაც ინახულებს ბოლგარიის დეპუტაციას; აქედამ წავა პირდა-პირ ბოლგარიაში, მიიღებს ფიცს კონსტიტუციის ერთგულებაზე, შემდეგ ტირნოვოში ეკურთხება და გამთავრდება.

— რუსულ გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია ტირნოვოდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ბოლგარიის დროებით მმართველმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა გააუქმა იქ რუსის გამგეობა და ყველა უწყების თანამდებობა ბოლგარიის ჩინოვნიკებს ჩააბარაო.

## იტალია

რომის გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი—თუ როგორის ამბითა და ალტაცებით მიგებებია ამ ქალაქის მცხოვრებლები გარიბალდის, რომელიც ამ მოკლე ხანში მივიდა იქ თავის კუნძულიდამ კაპრერიდამ.

მიზანი ამ გამოჩენილის პატრიოტის რომში მოსვლისა, როგორც იწერებიან, ის არის, რომ თავის მომხრეებთან მოილაპარაკოს ზოგიერთს საზოგადო იტალიის და საპოლიტიკო საგნებზე. სხვათა შორის 9 აპრილს რომში იმის თავ-მჯდომარეობით ყოფილა კრება იტალიის დემოკრატებისა, რომელზედაც გარიბალდის წარმოუთქვამს სიტყვა და წინადადება მიუცია კრებისათვის, ვეცადოთო, რომ საზოგადო საქმეების განხილვაში (პარლამენტის დეპუტატების ამორჩევაში და სხვ.) რაც შეიძლება მომეტებულ ხალხს ჰქონდეს მინიჭებული ხმაო. კრებას ერთ-ხმად მიუღია ეს წინადადება.

თუ რა გავლენა აქვს გარიბალდის თავის ქვეყნის საზოგადო საქმეებზედ, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ამ კრების შემდეგ იტალიის სამინისტრომ წარადგინა პარლამენტში დასამტკიცებელად ახალი კანონის პროექტი, რომელშიაც გარიბალდისაგან გამოთქმული აზრი არის გაყვანილი.

— გაზეთის „გოლოსის“ კორრესპონდენტს უნახავს გარიბალდი რომში და, სხვათა შორის, ამბობს, რომ ეს კაცი ამ ჟამად ძალიან დავარდნილი და ძოხუცებული არისო, ასე რომ თავისით თითქმის განძრევა აღარ შეუძლიანო, კრესლათი დაჰყავთო, ორივე ფეხები და მარცხენა ხელი წართმეული აქვს და ველარ ხმარობსო. მხოლოთ თვალებში ეტყობა კიდევ სიცოცხლე და ძველებური ენერგიის ნაშთიო.

რომში მყოფობის დროს გარიბალდისთან იყვნენ დეპუტაციები ტრიესტისა და ზოგიერთი სხვა იტალიის ქალაქებისა, რომელნიც დღემდინ ავსტრიის მფლობელობაში არიან. გარიბალდიმ იმედი მისცა ამ დეპუტაციებს, რომ დიდი ხანი არ დაგჭირდებათ თქვენ მოცდაო, მალე შეუერთებთ თქვენს ქალაქს ჩვენს საზოგადო სამშობლოს იტალიასო და სხვ.


# განცხადებანი

## კუმისი

ისყიდება ყოველ დღე ახალი და ნამდვილი კუმისი, რომელიც არის ნაქები სამზღვარ გარეთელ პროფესორებისა და ექიმებისაგან და რომლის გამო არის მიღებული საჩუქარი ვენის და პარიჟის მსოფლიო გამოფენაში.

გირჩევთ როგორც იშვიათი საშოვარი. (ამასთანავე ვაცხადებ, რომ ზამთარში იყო გაშინჯული ამ კუმისის ძალა).

**ფასი ერთი ბოთლისა ათი შაური**

**ადრესი:** დიდ ვოდოვოზნი ჩუქაში, სახლის № 20, საპერნის კაზარმის პირდაპირ. აგრეთვე ისყიდება დვარეცის ქუჩაზე, შაბუროვის სახლში, მალოჩნის დუქანში. (3—3)

**მოვიტანე გასასყიდლად ორმოცი გერცალი** (ხელით სატრიევი პავლოზკა) თავის ყოველი მოწყობილობით, ძალიან კარგად არის გაწყობილი ფიცრებისა და დიდი ხეების საზიდავად.

ყიდვის მსურველს შეუძლიან მიმართოს არსენალის ქუჩაზე, ფულინოვის სახლში, № 31. (3—3)

**უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.**

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარეშე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღზიაში **ისყიდება**

# „ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

**ფასი—ექვსი შაური**

**თფილისში** უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

# ალმანახი

შედგენილი

**გ. თუმანიშვილისაგან**

წიგნი მეორე

გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან

**ფასი—ორი აბაზი**

# „ჰაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

**მ. ჯორჯაძისა**


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 24 აპრილს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 60 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 70 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 99 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშალო ფთ. | 7 | 20 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., კიურჩარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. გახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ი:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგ., კიურჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. გახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Апрѣля 1879. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.